№ 34 17 თებერვალი, ოთხშაბათი. 1866-1882 17 თებერვალი, ოთხშაბათი. № 34.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

კოლეგიონის პრეზიდენტი ფეოდორ ივ. შუხრანსკის სახლებში ქუჩაში

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუჩაში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თფილისს წელიწადში . . . 9 მან. ნახევარ თვეში . . . 3 მან.
ექვსი თვეში . . . 5 მან. ერთი თვეში . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი სტრიქონი, სტრიქონი 1 კაპ., ერთ მოგებულთ სტრიქონზე ნახევარი კაპ., ნაკლებ-ნაკლებ [illegible] ზე მეტი.

თუ ხანგრძლივი [illegible] [illegible] [illegible]

რომ ამავე ღენ. სკობელევმა შემდეგის კიდევ უფრო მხნე და გაბედულის სიტყვით მიმართა სერბიელ სტუდენტებს, რომელთაც თანაგრძნობის ადრესი წარუდგინეს იმას პარიჟში 5 (17) თებერვალს:

„სუფრიდან ერ ვთვლი გითხრათ—თუ რა სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი თანაგრძნობის გამოცხადება. გეფიცებით, ბედნიერად შეაჩნია ჩემი თავი, რომ თქვენ, ახალგაზდა წარმომადგენელნი სერბიისა, მახვევისართ გარშემო, იმ სერბიის წარმომადგენელნი, რომელმანც სლავიანურ ადმოსავლეთისაკენ პირველად ამართა დროშა სლავიანების განთავისუფლებისა.

„იქნება მკითხოთ—თუ რატომ ერის, რომ რუსეთი ყოველთვის ერ ასრულებს თავის პატრიოტულ მოვალეობას და სლავიანების საქმეს გერ ემსახურება; იმიტომ რომ შინაც და გარეც უცხო-ქვეყნელები ბატონობენ ჩვენში. ჩვენს სახლში ჩვენ ბატონად ერა ვგრძნობთ თავს, ეველგან უცხო-ქვეყნელია, ეველგან იმის მოქმედება და გვლენა სჩანს. ჩვენ მოტეუებული მსხვერპლნი ვართ იმის პოლიტიკისა, მსხვერპლნი იმის ოინებისა, მონანი იმის ბატონობისა. იმის, ამ უცხოელის გვლენა ისეთი ძლიერი, ისეთა დამასუსტებელი და შეურაცხმყოფელია ჩვენი, რომ იმისაგან განთავისუფლება, თუ კი შეგიძლიათ ოდესმე, მხოლოდ ერრადით შეგიძლებთ.

„ვინ ერის ეს უცხოელი, ეს გადმოსვეწილი, ეს გაიძვერა, ეს საშინელი მტერი რუსისა და სლავიანებისა? მე დაგისახელებთ იმას: ეს ერის *Drang nach osten*-ის მთქმელი (ლტოლვილება ადმოსავლეთისაკენო). თქვენ იცნობთ იმას, ეს ერის ნემეცი.

„აუცილებელია ბრძოლა ნემეცებსა და სლავიანებს შუა. და მაღლეც ატუდება ეს ბრძოლა. ეს ბრძოლა საშინელი იქნება, უანგარიშო სისხლი დაიღვრება, დიდსანსაც გასწევს; მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ბოლოს სლავიანებს დარჩება.

„თქვენ გინდათ იცოდეთ ჩემი აზრი იმაზე—თუ როგორ უნდა იმოქმედოთ, რადგან სლავიანთა სისხლი ახლაც იღვრება? მხოლოდ ერთის თქმა შეიძლიან: თუ ვინმემ გაბედა და ხელი ახლო იმ სლავიანურ ხალხებს, რომელნიც ევროპის ტრაქტატით ერიან დაცულნი, უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მარტონი ერ იქნებით ბრძოლის ველზედ. ერთხელ კიდევ გმადლობთ — და ნახვამდინ — საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველზედ“.

ეს სიტყვა პირველად პარიჟის გაზეთს „*France*“-ში დაბეჭდილი, ნემეცურ გაზეთებმა იმ წამსვე გადაბეჭდეს და ერთი აყალ-მაყალი და გაცხარებული ლაპარაკი შეჰქნეს. საქმე იქამდინ მივიდა, რომ რუსის მმართებლობა იძულებული იყო ოფიციალურად გამოეცხადებინა, რომ ღენ. სკობელევი ოფიციალურად დანდობილი პირი არ არისო, კერძო კაცი არისო და ამიტომ იმის სიტყვას ხალხთა შორის დამოკიდებულებაში და პოლიტიკურ საქმეებში არავითარი მოშენელობა არა აქვსო. ხალხთა შორის განწყობილობა კერძო პირებს ლაპარაკზე კი არა, სახელმწიფო ტრაქტატებისა და პირობათა კეთილსინდისიანად შესრულებაზედ არის დამოკიდებულიო და სხვ.

ეს ყველს მართალია, მაგრამ ზოგერთი გაზეთები თითქმის დარწმუნებით ამბობენ, რომ „პოლიტიკურ გარიზონტზე რალაც შავი ღრუბლები მაჩანანო,“ ომის სუნიაო, რუსეთი ავსტრიის სამზღვრებისაკენ ჯარებს ახადებსო, აჯანყებულ ბოსნიელებსა და ჰერცოგოვინელებს ჩუმ-ჩუმად ემარებაო, საომარ მასალებს უგზენისო და სხვ-და-სხვ.

ამ თავით თქმა,—თუ რამდენად მართალია ყველა ეს ხმები, რამდენად მსალოდნელი ბრძოლა და დასახეღება—თუ რომელი სახელმწიფო რომელს შეეტაკება, რასაკვირველია, ძნელია. მაგრამ ერთის თქმა-კი ახლაც შეიძლება: რუსებსა და სლავიანებს ისეთ ნაირად სძულთ ნემეცები, ამ ორ ხალხს შორის ისეთი განხეთქილება და უკმაყოფილება ჰსუფევს დიდი ხნიდამვე, რომ უეჭველია, ადრე იქნება თუ გვიან, ამ ორ ხალხს შორის ბრძოლა აუცილებელია და ეს ბრძოლა, როგორც თამამი ღენერალი სკობელევი ამბობს, მართლა რომ საშინელი, ხანგრძლივი ბრძოლა იქნება....

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘᲡ“-ᲨᲘ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ბათუმიდან შოლებული:

„იანვრის 27-სა ბათუმში მოვიდა ოსმალოს ორი ხომალდი იმ აჭარლების წასაყვანად, რომელთაც ოსმალეთში გადასახლების სურვილი გაცხადეს. რამდენიმე ოჯახი აჭარლებისა დიდი ხანია ცხოვრებენ აქ და ელოდებოდნენ ოსმალოს ხომალდებს. დიდ გაჭირებაში იყვნენ ესენი. ზოგს ლუკმა-პურიც არ ჰქონდათ საჭმელი და მათხოვარობით რჩებოდნენ. მმართებლობის განკარგულებით, იმ მაჰმადიან ქართველებმა, რომელთაც გადასახლება ჰსურთ, თებერვლის 5-მდინ უნდა აიღონ პასპორტი, შემდეგ კი გადასახლების უფლება აღარ ექნებათ.

„აჭარლები ოსმალეთში მიდიან, მაგიერად ანატოლიის ბერძნები ჩვენში მოდიან. მაგრამ მთავრობა ნებას არ აძლევს ამ ბერძნებს ჩვენში დასახლებისას, რადგან ერთომ ბევრი გადმოდიან და საშიშია, რომ ამათგან სიღარიბე არ გავრცელდეს. მაგიერად სასიამოვნოა, რომ ეგეევ მთავრობა დიდის კმაყოფილებით ღებულობს იმ აჭარლებს, რომელნიც ოსმალეთში გადავიდნენ, იქ შიმშილით კინალამ ამოწყდნენ და ახლა უკანვე ბრუნდებიან ისევ თავიანთ ადგილ-მამულზე დასასახლებლად. მთავრობა უბრუნებს ამათ თავიანთ ადგილს მამულს და კმაყოფილებით ასახლებს იმიტომ, აი, ამ დროდამ გაძლიერდა ოსმალოს მტარვალური მოქმედება ბოლგარებზედ და დაუწყეს სასტიკი დევნა; ბევრი მღვდელი, ჩურბაჯი (მდიდარი, ანუ მამულის მეპატრონე) და გამოჩენილნი მამულის ერთგულნი ინაცვალეს...

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ-ᲙᲘ ᲡᲓᲔᲕᲔᲜᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲡᲗᲠᲒᲣᲜᲐ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲑᲘ: ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲔᲡ ᲙᲐᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ.

1858 Წ. ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ“ ᲑᲐᲢ. ᲓᲠᲐᲒᲐᲜ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ (ᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗ, ᲗᲕᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲝᲤᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲛ. ᲔᲮᲚᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ Ქ. ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ). ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲜᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲬᲛᲧᲝ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ. ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐ�პᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲐᲘᲪ ᲩᲐᲔᲒᲓᲝ; ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲞᲐ�პᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐ. ᲞᲐ�პᲛᲐ ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲐ ᲗᲮᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲰᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲓᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲝᲠᲞᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝ-

---

გარების განხრახულობაში. დაბადებითგანვე გაზეთის „ცარეგრადის უწყებისა“ სტამბოლში მყოფ ბოლგარიის კალონიამ მოითხოვა ოსმალოს მთავრობისაგან, რომ ჰქონოდათ თავიანთ სამშობლოს ენაზედ ეკლესიაში მღვთის-მსახურება და მასთან ნება-რთვა ეკლესიის აშენებასაც. ამ აზრის დასაგვირგვინებლად ბოლგართათვის სულთანთან შემწე და გავლენიანი კაცი იყო საჭირო და იმათ იღბალზედაც იმ დროს სულთანთან დაახლოვებული კაცი იმყოფებოდა ძველადგან ბოლგარიის გვარის ჩამომაელობისა თავადი სტ. ბოგორიდი (ეხლანდელი რუმელიის გამგე—ალექო-ფაშა), რომლის შემწეობითაც სულთან მაჰმუდ მეჯიდმა მისცა ბოლგარებს უფლება ეკლესიის აშენებისა; მაგრამ ბერძნების პატრიარხმა დიდი დაბრკოლება აღმოუჩინა: რამდენჯერმე დაწყობილი ეკლესიის საძირკველი დაანგრევინა ბოლგარებს და შეუკრა გზა სულთანთან და დიდს პორტაში კვალად საჩივრის გამოცხადებისა და უკანასკნელ ოსმალეთის მთავრობის ნება-დართვით ბერი ნეოფილატ ბოზვენი ბერძნების პატრიარხმა დაიჭირა და გაგზავნა ათონის მთის მონასტერში პატიმრად, სადაც მოწამლეს.

იმ ხანად ასპარეზზედ მშრომელი და მბრძოლელი დარჩა მხოლოდ ნიკოლა საპუნოვი. ამ საპუნოვმა ბევრჯელ დასწერა არზა ბოლგარების მინდობილობით სულთანთან და დიდს პორტაში მისართმევად, მაგრამ ბერძნებისაგან შესყიდულმა ოსმალებმა ყველგან გადაუღობეს გზა. საპუნოვმა მაინც თავისი გაიყვანა: შეიტყო, რომ სულთანი ამა-და-ამ დღეს სასეირნოთ მიბრძანდება ნავით ბოსფორში, საპუნოვიც დამზადებულის აზრით გაეშურა სულთანისკენ, მაგრამ ახლოს არავინ მიუშვა და როდესაც სულთანი ჩაჯდა ნავში და გასცურა, რამდენიმე წამის შემდეგ იშვირა საპუნოვმა ფეხები და გადავარდა ზღვაში!.. ცალს ხელში არზა ეჭირა და ცალის ხელითა სცურავდა და ყვიროდა მაღალის ხმით:

— ᲐᲛᲐᲐᲜ, ᲔᲮᲔᲜᲓᲘ! ᲐᲛᲐᲐᲜ, ᲔᲮᲔᲜᲓᲘ!..

სულთანმა მცურავი და მისი ღრიალი შენიშნა, გამოაბრუნა ნავი და ჩამოართვა არზა, რომელშიაც მოხსენებული იყო დაწერილებით ყოველი მოქმედება ბერძნების პატრიარხისა, რომ რამდენჯერმე დაწყებული ეკლესიის საძირკველი დაგვინგრიეს, შეგვიკრეს გზა ყოველის სასამართლოსი და ამ სახით არ გვაძლევენ ნებას თქვენის დიდებულების ბრძანების შესრულებისასო და სხ!..

სულთანი ძალიან განრისხდა ამ საგანზედ, და მრავალნი კარის—მხლებელნი და პორტაში მოსამსახურე ჩინოვნიკები გადააყენეს სამსახურიდამ და მასთან დართო კვალად უფლება ბოლგარებს ეკლესიის აშენებისა. რომ კვალად დაბრკოლება არ აღმოსჩენოდათ ბოლგარებს ბერძნების მხრით, ზემო აღნიშნულმა ბოგორიდიმ აჩუქა ბოლგორებს თავისი საკუთარი სახლი, რომელიც გადააკეთეს ეკლესიად; აქ დღესაც ბოლგარები თავიანთ სამშობლოს ენაზედ ადიდებენ ღმერთსა..

თუმცა სატახტო ქალაქში დაიმკვიდრეს ეკლესია, მაგრამ სოფლებად კი ძალიან დევნულებაში იყვნენ ბოლგრები ბერძნების სასულიერო პირთაგან.

ბერძნებმა საპუნოვს მაინც უგდეს ხრიკი: შესყიდვითა და დაბეზღებით ჩაამწყვდიეს სატუსაღოში, სადაც მოწამლეს და ამასაც ისე ამოართვეს სული, როგორც ბოზვენს.

მაგრამ იმ თესლმა, რომელიც ი. ვენელინმა, ბოზვენმა და საპუნოვმა დათესეს ბოლგართა შორის, ნელნელა დაიწყო აღმოცენება და ნაყოფის გამოღებაც. ზამოჩნდნენ ძრავალნი მოღვაწენი, რომელნიც ავრცელებდნენ სწავლას და ყველაზედ უმეტესად ისტორიას მდაბიო ხალხში, რომ თავისი ვინაობა სცოდნოდათ და მით კვალად აღემართათ თავისუფლების დროშა.... ეკლესიის განთავისუფლებასთან დაებადათ აზრი პოლიტიკური თავისუფლებისაც...

მოახწევეს ყირიმის ომამდის (1855 წ.). ყირიმის ომის შემდეგ, პარიჟის ტრაქტატის ძალით, ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებს (რაიებს) მიენიჭათ სასამართლოში და ცხოვრებაში თანასწორობა ოსმალებთანა; მაგრამ ეს უფლება მხოლოდ ქაღალდზედ დარჩა დაწერილი და საქმით-კი ოსმალები თავიანთებურად განაგებდნენ...

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „ᲒᲝᲚᲝᲡᲘᲡ“-ᲨᲘ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი ბათუმიდან შოლებული:

„იანვრის 27-სა ბათუმში მოვიდა ოსმალოს ორი ხომალდი იმ აჭარლების წასაყვანად, რომელთაც ოსმალეთში გადასახლების სურვილი გაცხადეს. რამდენიმე ოჯახი აჭარლებისა დიდი ხანია ცხოვრებენ აქ და ელოდებოდნენ ოსმალოს ხომალდებს. დიდ გაჭირებაში იყვნენ ესენი. ზოგს ლუკმა-პურიც არ ჰქონდათ საჭმელი და მათხოვარობით რჩებოდნენ. მმართებლობის განკარგულებით, იმ მაჰმადიან ქართველებმა, რომელთაც გადასახლება ჰსურთ, თებერვლის 5-მდინ უნდა აიღონ პასპორტი, შემდეგ კი გადასახლების უფლება აღარ ექნებათ.

„აჭარლები ოსმალეთში მიდიან, მაგიერად ანატოლიის ბერძნები ჩვენში მოდიან. მაგრამ მთავრობა ნებას არ აძლევს ამ ბერძნებს ჩვენში დასახლებისას, რადგან ერთომ ბევრი გადმოდიან და საშიშია, რომ ამათგან სიღარიბე არ გავრცელდეს. მაგიერად სასიამოვნოა, რომ ეგეევ მთავრობა დიდის კმაყოფილებით ღებულობს იმ აჭარლებს, რომელნიც ოსმალეთში გადავიდნენ, იქ შიმშილით კინალამ ამოწყდნენ და ახლა უკანვე ბრუნდებიან ისევ თავიანთ ადგილ-მამულზე დასასახლებლად. მთავრობა უბრუნებს ამათ თავიანთ ადგილს მამულს და კმაყოფილებით ასახლებს იმიტომ,

---

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ-ᲙᲘ ᲡᲓᲔᲕᲔᲜᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲬᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲡᲗᲠᲒᲣᲜᲐ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲑᲘ: ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲜᲔᲡ ᲙᲐᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ.

1858 Წ. ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ“ ᲑᲐᲢ. ᲓᲠᲐᲒᲐᲜ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ (ᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲨᲘᲜᲐგᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗ, ᲗᲕᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲝᲤᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲛ. ᲔᲮᲚᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ Ქ. ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ). ᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲜᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲬᲛᲧᲝ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ. ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐ�პᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲐᲘᲪ ᲩᲐᲔᲒᲓᲝ; ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲪᲐᲜᲙᲝᲕᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲞᲐᲪᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐ. ᲞᲐᲪᲛᲐ ᲜᲐᲪᲝᲚᲔᲝᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲐ ᲗᲮᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲰᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲗᲣ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲓᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲝᲠᲞᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝ-

...ომ ესენი კარგი მუშა ხალხი და ...ქეყნისათვის გამოსადეგნი არიან.“

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ პატივცემული ...ი. რაფ ერისთავი რამდენიმე ქართულ ლექციის წაკითხვას აპირებს ამ ...ულ-მარხვაში ქართულს ენაზედა და ...ლიტერატურაზედ.

***

გუშინდელ (15 თებ.) სხდომაზე ...ქალაქის რჩევამ, სხვათა შორის გა...დაწყვეტა: ა) ბბ. მიზანდარისა და ...ანელის მუზიკალურ სკოლას ქალა...ქის ხაზინიდამ წელიწადში ას-ორი ...თუმანი შემწეობა მიეცეს; ბ) ად...რინდელ გადაწყვეტილების თანახმად, ...გიმართოს ქალაქის ხარჯით ქალ...ებისათვის სახელოსნო სკოლა და ...ამისთვის წელიწადში 3500 მან. დაი...ხარჯოს და გ) უარი ეთქვას სამას...წავლებლო მთავრობას იმაზედ, რომ ...მესამე გიმნაზიის გასახსნელად ქა...ლაქმა ნახევარი ხარჯი შემოიტანოს (11,000 მან. წელიწადში) ამ გიმნა...ზიის შესანახავათო; ამ უარის თქმის ...მიზეზი ის იყო, რომ ქალაქი უიმი...�ათაც წელიწადში 50,000 მანეთს ...ხარჯავს სახალხო განათლებისათვის ...და მეტის ხარჯის ლონის-ძიება არა ...აქვსო.

***

ჩვენ გვაცნობებენ შემდეგ ამბავს ...ჩვენი თეატრის ახალ ანტრეპრიანერ...ზე ბ. ი. ი. შითუა ძვილზედ:

„ეეუხის-ტყაოსნიდამ“ ცოცხალ სუ...

...მარეობა შეიცვალა და, როგორც ...მოგეხსენებათ, ნაპოლეონ მესამეც თან ...გადაყოლა, არამც თუ იმას ეშველა ...ისთვისმე.

1863 წ. გამოიცა ახალი გაზეთი ...ბურმოვის რედაქტორობით „Съвѣтникъ“ (მრჩეველი) (ეს ბურმოვი მი...ნისტრად იყო უფრო კონსერვატიუ...ლის მიმართულებისა). 1866-ში გა...მოიცა გაზ. „მაკედონია“ სლავეიკო...ვის რედაქტორობით (ესეც მინისტრად ...იყო და წელს გადააყენეს თანამდე...ბობიდამ. პოეტია და მცოდნე ბოლ...გარიულის ენისა საფუძვლიანად. ეხ...ლა ფილიპოპოლშია მასწავლებლად). ...ეს გაზეთი იყო ლამპარი მანათობე...ელი ბოლგართათვის. მაგრამ გაზეთმა ...ბოლოდ 1872-ის მოახწია, თვით ...სლავეიკოვი ოსმალებმა ჩაამწყვდიეს ...სტამბოლში პატიმრად (საიდამაც შემ...დეგ გაიპარა) და გაზეთიც მოისპო. ...ამ გაზეთში იღებდა მონაწილეობას ...ზემო-აღნიშნული ნიკოლა საპუნოვის ...ვაჟი სვეტოსლავი-მილაროვი.

...თუმცა ბევრი ტანჯვა და ვაი-...ვაგლახი გამოიარეს ბოლგარების წი...ნამძღვარ-პატრიოტებმა და ამათ რიცხვში აქ აღნიშნულთა რედაქტორებ...მა, მაგრამ ბოლოს მაინც თავიანთ ...მიზნს მიეხწივნენ: 1870-ში სულთა...ნის ბრძანებით ალი-ფაშამ გამოსცა ...შესანიშნავი ფირმანი, რომლის ძა...ლითაც ბოლგარებს მიენიჭათ თა...ვიანთი საკუთარი საეგზარხოს ანუ ...საპატრიარხოს დაფუძნება და განთა...ვისუფლება ბერძნების სასულიერო

...რათების წარმოდგენის დროს ამ ფი...თუაშვილის ოპტიკურ მაღაზიიდამ ...უნდა მოეტანათ ფანრები; 15 მანე...თად გარიგებოდნენ წარმოდგენის მო...თავენი. წარმოდგენის დროს, დილით ...თვითონ ბ. ფითუაშვილი მისულა ...თეატრის კასსაში, 5 მანეთიანი ბი...ლეთი უყიდია და უთქვამს: რადგან ...ასე ძვირად ჰყიდით ბილეთებს, მეც ...ჩემ ფანრებში, 15 მანეთის მაგივრად ...40 მან. უნდა მომცეთო, თორემ ...ფანრებს აღარ გამოვგზავნიო!... მა...ნამ იქვე, წინათ, არ დაუთვლიათ ...ორმოცი მან., არ დათანხმებულა.

...ნუ თუ ეს ამბავი მართალია? თუ ...მართალია, ნეტავი ჩვენ, რა ანგარი...შებსა და თანაგრძნობით დახმარებას, ...ხელის მომართვას უნდა მოელოდენ ...ადგილობრივი სცენები ამ გვარ თე...ატრის ანტრეპრიონერისაგან!..

***

...ციმბირში გაგზავნილი ...ოლა...ეაშვილი უკვე დაბრუნდა თფილისში ...და, როგორც ამბობენ, შეურიგდა ...თავის ცოლს და ამ ჟამად ერთად ...ცხოვრობენო.

—

ტაქსა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 თებერვლიდამ 1 მარტამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	3½
მეორის „	—1 გირ.	3 კ.
მესამის „	—1 გირ.	—

...უწყებათა ქვეშევრდომობიდამ. ამი...სათვის 1872 წ. ბოლგარიის წარმო...მადგენელთან სტამბოლში იყო კრე...ბა საეკლესიო ტიბიკონის შესადგენ...ლად და აღმოსარჩეველად ბოლგარიის ...მღვდელთ-მთავრისა. ამ კრებამ აღ...მოირჩია ქ. ვიდინის ექსარხოსი— ...ანფიმა მთლად ბოლგარიის (ამათ ...რიცხვში ფრაკიის და მაკედონიის ბოლ...გარნიც ეკუთვნიან დღეს) მღვდელ...მთავრად. ბერძნების პატრიარხმა ან...თიმოზმა, თუმცა დიდი დავა და და...ბრკოლება გაუწია, მაგრამ მაინც ...ბოლგარებმა სძლიეს და გაინთავი...სუფლეს ეკლესია.

„მაკედონის“ გაზეთის შემდეგ, ნა...იდენოვის რედაქტორობით, გამოიცა „Право“ (უფლება), რომელმანც ...იცოცხლა მხოლოდ ორი წელიწადი. ...რაკი ოსმალოს მთავრობამ აღრკძალა „უფლების“ გამოცემა, ნაიდენოვმა ...ამის მაგიერ გამოსცა სხვა გაზეთი „Напрѣдъкъ“ (წინ); მაგრამ 1876 წ. ...ამანაც განუტევა თავისი არსებობა ...ოსმალოს მთავრობის გამოისობით.- ...რადგან ბოლგარიაში ველარ იხვირა ...პოლიტიკურმა გაზეთმა ამისათვის შე...ამხანაგდნენ რამდენიმე რევოლიუციო...ნერნი ბოლგარნი (ამათს რიცხვში ...დრინოვიც ერია) და ქ. ბუხარესტში ...დაიწყეს გაზეთის „Свабода“ ის (თა...ვისუფლება) გამოცემა ქარაველოვის ...რედაქტორობით; ამ გაზეთს სხვა გა...ზეთიც დაჰყვა თან „Независимость“ (დამოუკიდებლობა), „Знане“ (ცოდ...ნა) და ბოლოს ომის გამოცხადებამ-

---

...იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	6 კ.
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
...ზვარის-მამის პური:		
პირველ ხარის.ლავაში	1 გირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4½
...ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	16 კ.
...ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.
...ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	— კ.
მეორის „	—1 გირ.	— კ.

ამ წესდებულების დამტკიცება ინ...ბა მისმა ბრწყინვალებამ ნამესტნი...კის თანამდებობის აღმასრულებელმა.

მთავარ-სამმართველოს უფროსი,

ლენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი.

25 ნოემბერს, 1881 წ.

ქ. თფილისი,

წესდებულება.

ვაკვასიის ისტორიის და არხეოლოგიის საზოგადოებისა.

1. ...ვაკასიის ისტორიას და არხეოლოგიის საზოგადოებას აქვს მიზნად შესწავლა და გავრცელება ისტორიულ და არხეოლოგიურ ცოდნისა ...ვაკასიაზედ და თანა მოსამზღვრე ქვეყნებზედ.

2. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოების საქმეს შეადგენს: ა) შეკრება

...ოსინ ქ. ბრაილაში (რუმინიაში) გამოიცა „Възраждане“ (განახლება) სვეტოსლავ მილაროვის (საპუნოვის) რედაქტორობით. წინად ეს მილაროვიც დაიჭირეს ოსმალებმა და მამის კვალად ესეც უნდა მოევლათ სატუსაღოში, მაგრამ ხერხითა და მანქნებით დიხწივა თავი და გაიქცა ოსმალების ხელიდამ.

ბ...ოლგარიამ ამ სახით მოახწია ...ვიდრე 1877—იმდის. ამ წელს 12-ს ...აპრილს რუსეთმა გამოუცხადა ომი ...ოსმალეთსა და სრულიად გაანთა...ვისუფლა ბოლგარია...

ამას მიენიჭა თავისუფალი კონს...ტიტუცია, და ჰყავთ ეხლა თავიანთი საკუთარი მთავარი (კნიაზი).- მინ...ცხო ქვეყნებში გაქსაქსული ნა...წავლი ბოლგარიები იყვნენ, ამათგანი უმთავრესი ნაწილი დაბრუნდა თავის ...ახალს განთავისუფლებულ სამშობ...ლოში, სადაც აწ სცხოვრობენ და ...ემსახურებიან მამულს.

ომის შემდეგ სვეტ. მილაროვმა ...გამოსცა ქ. ტირნოვში გაზ. „Български левъ“ (ბოლგარიის ლომი) 1879 წ., რომელიც დიდი დამცველი ...იყო კონსტიტუციალურის მმართველ...ობისა... ქ. სოფიაში გამოსცა ბრე...კოვმა გაზ. „Витошъ“ (ვიტოში, ...სოფიის ახლოს მდებარე მთის სახე...ლია). ჯერ ტირნოვში და შემდეგ ...სოფიაში დაიწყო ბ. სლავეიკოვმა გა...ზეთის გამოცემა „Цѣлокупна Българія“ (შეერთებული ბოლგარია), „Български гласъ“ (ბოლგარიის ხმა),

---

...და აღწერა ძველებური დროის ...ველ გვარ ნაშთთა, რომელნიც ...აღმოჩნდებიან ...ვკასიაში, ...ორ...ულ...თაც ექნებათ კავშირი მოხსენებულ ...ქვეყნებთან; ბ) მოძებნა, გარჩევა და ...აღსნა დოკუმენტებისა და აქტებისა ...შესახებ ხსენებულის ქვეყნის ისტო...რიისა და აგრეთვე შემოკრება მის ...ისტორიის მასალეებისა; ბ) განხილვა ...თხზულებათა რუსულს, უცხოს და ...ადგილობრივს ენებზედ ამ საგნის შე...სახებვე და კითხვა რეფერატებისა; დ) ...მოვლა და დაცვა შეძლებისა მებრ...ძანცვისაგან სახსოვართა და ნაშთ...თა ...ვკასიის ძველი დროისა. ე) მო...პოვება ძველი დროის ნივთთა.

3. საზოგადოება შესდგება ნამდვილ ...და საპატიო წევრთაგან, წევრთა—კორ...რესპონდენტთა და წევრთა დამხმარე...ბელთაგან.

შენიშვნა. წევრებად შეუძლიანთ ...იყვნენ ორთავე სქესის პირნი, რუსე...თის ქვეშევრდომნი და უცხო ქვეყ...ნელნი. რიცხვი წევრთა არ განისაზ...ღვრების.

4. ნამდვილნი წევრნი აღირჩევიან ...ჯერ პირველად წევრთა დამფუძნებელ...თა მიერ, ხოლო შემდეგ არა ჩვეუ...ლებრივს სხდომებზედ საზოგადოების ...ნამდვილთა წევრთა (§ 17) დაფარულ...ის კენჭის ყრით ხმის უმეტესობით ...წინადადებისამებრ არა ნაკლებ სამის ...ნამდვილ წევრისა იმ პირთაგან, რო...მელნიც ცნობილნი არიან საზოგა...დოების მიერ და შეუძლიანთ სარგებ-

---

„Независимость“ (დამოუკიდებლობა) სვეტ. მილაროვის რედაქტორობით, რომელიც წელს 1-ს ივლისს ...იქმნა აღრკძალული...

ამ უკანასკნელს დროს თითქმის ...აქა აღნიშნული გაზეთები ყველა ...აღკრძალულია და ვერ განაგრძეს ...თავიანთი არსებობა. სვეტ. მილაროვ...მა გამოსცა ახალი გაზეთი ამ დე...კემბრის პირველიდამ „Софія“ (სო...ფია) მაგრამ შინაგან საქმეთა მი...ნისტრმა არ მისცა იმას რედაქტორო...ბის უფლება და ამანაც თქვენი ჭირი ...წაიღო.

ამ აღნიშნულს გაზეთებს გარდა ...რუმელიაში გამოდის შემდეგი გაზე...თები? ფილიპოპოლში—„Марица“ (ბარიცა, მდინარის სახელია); „Народны гласъ“ (ხმა ერისა), რომე...ლიც აღკრძალულია სამთავროში, „Независимость“ (დამოუკიდებ...ლობა) ქარაველოვისა და სლავეიკო...ვის ხელმძღვანელობით—ესეც აღკრმა...ლულია ბოლგარიის სამთავროში...

აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ ის გაზეთე...ბი, რომელთაც გაელენა ჰქონდათ ...ხალხში და სარგებლობაც მოუტანეს, ...თორემ ამათ გარდა წელიწადში ოც...ზედ მეტი ახალი გაზეთი გამოიცემა ...და, უღონობის გამო, ჩქარა კვდება ...ისევე..

ბ. ბრემეული.

ქ. სოფია. (ბოლგარია),

30 დეკემბ. 1881.

ლობა მოუტანონ მის მიზნის მისაღწევად.

5. საპატიო წევრებად აღირჩევიან სწავლულნი, რომელთაც თავიანთი ღვაწლით მოუპოვებიათ პატივისცემა სწავლულთა შორის და აგრეთვე პირნი, რომელნიც სასარგებლონი იქნებიან საზოგადოებისათვის თავისი საზოგადობრივი მდგომარეობით. საპატიო წევრი აღირჩევა წინადადებისამებრ საზოგადოების თავმჯდომარისა არა დაფარულს კენჭის-ყრით.

6. წევრ-კორრესპონდენტებად სახელ-იწოდებიან ის სწავლულნი და მოყვარენი ისტორიისა და არხეოლოგიისა, რომელთაც განაცხადეს თანხმობა დაეხმარონ თავიანთი შრომით საზოგადოების საქმეს. იგინი აღირჩევიან დაფარულის კენჭის-ყრით.

7. წევრებად — დამხმარებლებად უკენჭოდ მიიღებიან სურვილისა-მებრ ყოველნი.

შენიშვნა. საზოგადოების წევრებად შესულნი მიიღებენ დიპლომს წევრობის წოდებისას, უკეთუ მის მომზადების ფასს გარდაიხდიან.

8. ნამდვილნი წევრნი მოვალენი არიან ყოველ წლივ პირველ იანვრისთვინ შემოიტანონ წინ-და-წინვე საზოგადოების კასაში ათი მანათი. ვინც წლის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო ფულს, ჰკარგავს წევრის სახელწოდებას და მეორედ წევრად შესვლისათვის ხელ-მეორედ კენჭი უნდა ეყაროს.

9. წევრნი—დამხმარებელნი ვალდებულნი არიან პირველ იანვრისთვინ ყოველ წლივ შემოიტანონ ათი მანათი საზოგადოების კასაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებიდამ გამოირიცხულ იქნებიან.

10. ნამდვილნი წევრნი და წევრნი დამხმარებელნი განთავისუფლებული იქნებიან ყოველ წლიური გადასახადისაგან, უკეთუ ერთ ხანად შემოიტანენ ასს მანათს.

11. ნამდვილნი წევრნი, გარეშე ყოველ წლიური გადასახადისა, ვალდებულნი არიან დაეხმარონ საზოგადოებას ან საკუთარის შრომით, ან რეფერატების კითხვით მეცნიერულ შრომაზედ სხვა-და-სხვა მწერალთა. ნამდვილნი წევრნი კარგავენ წევრობის სახელწოდებას, უკეთუ არ შეასრულებენ ამ პირობას წლის განმავლობაში.

12. ნამდვილ წევრთ ხმა აქვთ ყოველ საზოგადო საქმეში.

13. Обнобилни რუსეთისა და საზღვარ გარეთის სწავლულნი, შემკრებელნი ძველ ნაშთთა, აღირჩევიან ნამდვილ წევრებად ხმის უმეტესობით და განთავისუფლებულ იქნებიან ყოველ იმ ვალდებულებისაგან, რომელნიც ნამდვილ წევრებს მოეთხოვება, ესე იგი ყოველ წლიური გადასახადისაგან და მუდმივ მონაწილეობისაგან საზოგადოების მეცნიერულ მოღვაწეობაში... უკეთუ თანხმობას გამოაცხადებენ აღრჩევაზედ, ვალდებულ არიან გამოუგზავნონ საზოგადოებას მათ მიერ გამოცემულნი შრომანი და უწყებულ ჰყონ საზოგადოება თავიანთ კოლლექციების შესახებ.

(დასასრული სკვლ)

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა მიჰმართავს ამ საზოგადოების წევრთ და სთხოვს, ვისაც წარსულის 1881 წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ამ ადრესით გამოგზავნოს; Въ Тифлисъ. Козначею Общества распространенія грамотности князю Георгію Михайловичу Туманову. Барятинская улица, собственый домъ. (6—5)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

შუა-ბაზარში, აკიმოვის ქუჩაზედ სახლი მიწითა, აგრეთვე ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზედ სამ-სართულიანი სახლი № 13, იქვე დიდი ადგილი. პირობები შეიტყობა იქვე სახლის-პატრონებთან, ან დამარატკისთან, ბარონის ქუჩ., № 15. (3—3)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ხუთი ათასი ფუთი თივა; ერთი ათასი ფუთი ქერი; სამი ათასი ფუთი პური. მსურველთ შეუძლიანთ ფასი გაიგონ ვაყის მღვდლის, ზორის მაზრის, Ю. მახაროგლიძისაგან ან ზომის სტანციაში ან თვით ს. ვაყაში, რომელიც ამ სტანციას $1\frac{1}{2}$ ვერსით შორამს. (5—5)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

არწრუნის გადღერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უკეთგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
სუფთა 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვაგან კი ქადალდით. (100—87)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და სუფთეულ ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფვებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სპონისა, შოკოლადებისა, ცხვირ-სახოტისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას სიგარები. (100—77)

ნაფიცი ვექილი

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ

ᲭᲣᲚᲜᲘᲐ

მიიღებს ყველა ხასამართლოებში საწარმოებლად სამოქალაქო, სამეჯინაო და სისხლის სამართლის საქმეებს.

სადგომი აქვს: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, სიღლაზე, მ. ᲭᲣᲝᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. (5—4)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ორი ცხენი ახალ-თეძ ჯინშისა „ᲨᲐᲠᲐ-ᲑᲐᲖᲐᲠᲘ“ ერთ ... და მეორე ულაყ, ... ფასის შეტყობა შეიძლება ... ქუჩაზე, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ № 43. (5—1)

ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

Ежемѣсячный листокъ Тифлисскаго Общества покровительства животныхъ.

Подписная цѣна: въ годъ безъ пересылки 80 к., съ пересылкою—1 р. отдѣльные №№ по розничной продажѣ—10 к.

Подписка принимается въ конторѣ редакціи помѣщающейся въ торговомъ домѣ Касумова на Эриванской площади въ д. Джакели. (5—1)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ იჯარით აიღონ მორწყვა მისაილოვის სიდისა და მისაილოვის ქუჩისა მადათაანთ ქუჩიდამ მუშტაიდის ბაღამდე, მობრძანდნენ ამ საგნის შესახებ დანიშნულ ვაჭრობაზედ, 18-ამა თებერვლის თვესა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—3)

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ იჯარით აიღონ საჭირო მასალების, მიწის და ქვის მოპოვება და სხვა საჭირო მუშაობა განოვის ქუჩის მხრით ქალაქის სახლის გასაშენებელ ნაწილისათვის, მობრძანდნენ ქალაქის გამგეობაში ამა თვის 19-სა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა ამ საქმის შესახებ შეიძლება ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—3)

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲔᲡᲔᲑᲔᲚ-ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ

1880 წლისა.

1-ს იანვრისთვის 1880 წლისა მდგომარეობდა:

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილის ფული — —	1,460	30	მასესხებული — —	4,966	4[illegible]
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	3,224	„	ნაღდათ — — —	372	8[illegible]
სათადარიგო თანხა —	234	27			
წმინდა მოგება — —	416	65			
სულ—	5,339	22	სულ—	5,339	2[illegible]

1880 წელში:

შემოგიდა:	მან.	კაპ.	გავიდა:	მან.	კაპ.
წილის ფული — —	300	4	წლის ფული— — —	90	9[illegible]
სარგებელი დაჭერილი სესხობის ანუ ახალის ვადის მიცემის დროს —	642	55	მასესხებული— — —	3,832	4[illegible]
ჯარიმა — — — —	128	80	სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილის ფულის	193	4[illegible]
დაბრუნებული სესხი —	3,495	20	სამმართველოზედ — —	97	[illegible]
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	193	44	სხსა-და-სხვა გასაველი —	3	7[illegible]
სათადარიგო თანხა —	22	33	აღებ-მიცემისა — —	123	4[illegible]
სულ—	4,782	36	სულ—	4,341	[illegible]

1-ს იანვრისა თვის 1881 წლისა არის

	მან.	კაპ.		მან.	კაპ.
წილის ფული — —	1,673	37	მასესხებული— — —	5,303	6[illegible]
სასარგებლოდ შემოტანილი — — — —	3,417	44	ნაღდი ფული — —	814	9[illegible]
სათადარიკო თანხა —	256	—			
წმინდა მოგება — —	770	60			
სულ—	6,117	76	სულ—	6,117	76

(3—3)

მმართველნი:
- მიხეილ მელიქოვი.
- დავით რუსთველი.
- ნიკოლოზ მირზიკაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Февраля 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მელ...